საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 527-02
13/03/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-18 მუხლის, ბიზნესის სკოლის დებულების 3.2. პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ბიზნესის სკოლის დეკანის 2018 წლის 12 მარტის N4164-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბჭოს წევრების არჩევნები 8 ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 13 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ.3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნის info@iliauni.edu.ge გზით.
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ ბიზნესის სკოლაში დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) სკოლის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
7. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიზნესის სკოლას, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი